

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: ოკუპაციური თერაპია / Occupational Therapy

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოკუპაციური თერაპევტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS
სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სასწავლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური (პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევისა და დამოკიდებულების მქონე) ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც იმუშავებს ოკუპაციური თერაპიის პრაქტიკის ნებისმიერ სფეროში მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომისა და პროფესიული ეთიკის დაცვით. პროგრამა აგებულია ზოგად და სპეციფიკურ (დარგობრივ) კომპეტენციებზე დაყრდნობით, რომლის ძირითადი თემებია: ცოდნა ოკუპაციურ თერაპიაში; ოკუპაციური თერაპიის პროცესი და პროფესიული აზროვნება; პროფესიული ურთიერთობები და თანამშრომლობა; პროფესიული ავტონომია და პასუხისმგებლობა; კვლევა და განვითარება ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში; პროფესიის მართვა და ხელშეწყობა. სასწავლო გეგმის სტრუქტურა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ზოგადი ცოდნიდან კერძოსკენ; ინდივიდთან მუშაობიდან თემთან მუშაობისკენ; მცირე ასაკის პირებთან მუშაობიდან ხანდაზმულ პირებთან მუშაობისკენ. სასწავლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იღებს ცოდნას, მუშაობის უნარ-ჩვევას და პრაქტიკულ გამოცდილებას ოკუპაციური თერაპიის მომსახურების შესახებ სხვადასხვა სფეროში. საბოლოო საბაკალავრო ნაშრომი ახდენს სტუდენტის როგორც კვლევის, ასევე პროექტის განხორციელების საბაზისო უნარების დემონსტრირებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

წარმატებით ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება.

სწავლის შედეგი

ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის კომპეტენციები განისაზღვრება TUNING Occupational Therapy Group-ის (2007) მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების საფუძველზე განათლების სამი ციკლისთვის.

მოცემული საბაკალავრო პროგრამა ოკუპაციურ თერაპიაში დაფუძნებულია პირველი ციკლის დისკრიპტორებზე (აღმწერზე).

ქვემოთ ჩამოთვლილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ შესაძლებელია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში.

ცოდნა და გაცნობიერება	ბაკალავრის ხარისხის მქონე ოკუპაციურ თერაპევტს აქვს პროფესიული ცნებების და თეორიის ღრმა ცოდნა. შეუძლია ახსნას მიმართება ოკუპაციურ პერფორმანსს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას შორის. იყენებს ცოდნას ბილოგიური, სამედიცინო, სოციალური, ჰუმანიტარული, ფსიქოლოგიური და ოკუპაციური მეცნიერებებიდან.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია ოკუპაციური თერაპიის საჭიროების დადგენა (როგორც ინდივიდუალური კლიენტისთვის, ასევე ოჯახის, ორგანიზაციის თუ თემისთვის), ოკუპაციურ თერაპიული შეფასების განხორციელება, ჩარევის მიზნების დასახვა მულტიდისციპლინურ გუნდთან თანამშრომლობით, ინტერვენციის განხორციელება, დამხმარე საშუალებების შერჩევა/რეკომენდირება, ადაპტაციების განსაზღვრა, ასევე საკუთარი მუშაობის პროცესის შეჯამება და შედეგების გადაფასება.
დასკვნის უნარი	შეუძლია კლინიკური მსჯელობის საფუძველზე რეალურ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავლის დადგენა. შეუძლია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის კრიტიკული გააზრება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენება. უმკლავდება ეთიკურ დილემას, რომელიც თავს იჩენს პრაქტიკული მუშაობისას.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიულ კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე. ურთიერთობის დასამყარებლად შეუძლია კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენება. აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის უნარი.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. იყენებს სასწავლო-საინფორმაციო რესურსებს. აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და ჯგუფში სწავლის უნარი. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება. აცნობიერებს ცოდნის განახლების და უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას. აქვს საკუთარი კომპეტენციის კრიტიკული შეფასების უნარი.
ღირებულებები	მუშაობს კლიენტზე-ცენტრირებული პრინციპის დაცვით. მუშაობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური ერთობის და დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით.

ზოგადი

პირველი ციკლის დონეზე ოკუპაციურ თერაპევტს:

1. შეუძლია შეაგროვოს, განმარტოს და გამოიყენოს მონაცემები ჯანმრთელობის, სოციალური და ოკუპაციური მეცნიერებებიდან და მოიხსენიოს წყარო თანმიმდევრულად და ზუსტად
2. შეუძლია რეფლექსიის მოხდენა და ძირითადი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განსაკუთრებით დაოსტატებულია პრობლემის გადაწყვეტაში
3. განსაკუთრებით დაოსტატებულია ინტერპერსონალურ კომპეტენციაში, როგორც ორალური ისე წერილი კომუნიკაციის დამყარებაში პროფესიონალებსა და სერვისის

მომხმარებლებთან, ჯგუფური მუშაობისას და ინტერდისციპლინური გუნდური მუშაობისას ავლენს კულტურული განსხვავების პატივისცემის უნარს

4. შეუძლია ახალ სიტუაციაში ადაპტირება, საუკეთესო გადაჭრის გზის მოძიების პროცესში არის კრეატიული და იღებს გადაწყვეტილებებს გუნდთან და კლიენტთან თანამშრომლობით
5. შეუძლია მუშაობა ავტონომიურად, არის თვით-კრიტიკული და იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს
6. შეუძლია პროექტის დაგეგმვა, განხორციელება, ანგარიშის დაწერა და შეფასება
7. აქვს ბაზისური კვლევის უნარ-ჩვევა, უნარი გააკრიტიკოს და გამოიყენოს კვლევის შედეგები მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკისთვის
8. შეუძლია კომპიუტერული და ინფორმაციის მართვის უნარ-ჩვევის გამოყენება ინფორმაციის მოძიებისა და მოხსენებისთვის
9. შეუძლია პროფესიულ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობა, რათა განაახლოს საკუთარი ცოდნის დონე

ცოდნა ოკუპაციურ თერაპიაში

ოკუპაციური თერაპევტი

10. ავლენს პროფესიის თეორიული საფუძვლების შესახებ ცოდნას, შეუძლია ადამიანის ოკუპაციური ბუნების და მისი ჯანმრთელობასთან კავშირს ახსნა, ოკუპაციური პერფორმანსის დანიშნულების ახსნა, პიროვნებას, გარემოს და ოკუპაციას შორის რთული ურთიერთმიმართების ახსნა
11. ავლენს ცოდნას და ესმის რთული ურთიერთმიმართება პოპულაციის ჯანმრთელობას, სოციალურ ერთობას და ოკუპაციურ უფლებებს და თემს, მათ ოკუპაციებს და გარემოს შორის
12. ესმის პიროვნება, როგორც ერთი მთლიანი, მისი მენტალური, ფიზიკური და სულიერი საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინებით
13. ფლობს ცოდნას გარემოს შესახებ და ესმის მისი გავლენა ოკუპაციურ პერფორმანსზე
14. ავლენს ცოდნას და ესმის ფუნქციონირების, შეზღუდული შესაძლებლობების, გარემოს და ჯანმრთელობის და მათ შორის კავშირის არსი
15. ასაბუთებს საკუთარ პრაქტიკას დებატით და დისკუსიით, ახსნა- განმარტებით და მტკიცებულებით

ოკუპაციური თერაპიის პროცესი და პროფესიული მსჯელობა

ოკუპაციური თერაპევტი

16. ოკუპაციური თერაპევტი ახორციელებს თერაპიულ პროცესს კლიენტის საჭიროებების გათვალისწინებით. ოკუპაციური საჭიროებები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით: ჯანმრთელობის მდგომარეობით, სოციალური სიტუაციით ანდა გარემო ფაქტორებით. პროცესი მოიცავს: სკრინინგს, შეფასებას, ოკუპაციური საჭიროების დადგენას, მიზნების შესახებ მოლაპარაკებას და მათ საბოლოო ფორმულირებას, დაგეგმვას, გეგმის განხორციელებას, და შედეგების გადაფასებას.
17. იყენებს ყოველდღიურ აქტივობებს (როგორცაა საქმლის მომზადება), რათა ადადგინოს ფუნქცია; პიროვნების ადაპტური და კრეატიული პოტენციალის სრული გამოყენების მიზნით შეიმუშავებს საქმიანობის შესრულების ახალ გზებს

18. ოკუპაციური თერაპევტი ამოიცნობს იმ ფიზიკურ, სოციალურ, ატიტუდურ, კულტურულ და საკანონმდებლო გარემო ფაქტორებს, რომელიც ზემოქმედებს ოკუპაციურ პერფორმანსზე და მუშაობს იმაზე, რომ შეცვალოს გარემო რათა გაუმჯობესდეს ფუნქცია
19. ოკუპაციური თერაპევტი ახდენს პროფესიული მსჯელობისა და კლიენტის ოკუპაციური მონათხრობის (ნარატივის) ინტეგრაციას. რაც ხელს უწყობს თეორიული მოდელების შერჩევას და განხორციელებას, ოკუპაციის და აქტივობის ანალიზს და სინთეზს, რათა ყოველი ინდივიდუალური კლიენტი ან პოპულაცია უზრუნველყოფილი იყოს საუკეთესო შესაძლო მომსახურებით

პროფესიული ურთიერთობები და პარტნიორობა

ოკუპაციური თერაპევტი

20. ქმნის პრაქტიკის საფუძველს კლიენტთან და მის ოჯახთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებით და შენარჩუნებით. ამ ურთიერთობაში მთავარია კლიენტზე-ცენტრირებული პრინციპის დაცვა. განსაკუთრებით, ინდივიდუალური განსხვავების და ღირებულებების, და მათი ზეგავლენის პატივიცემა ოკუპაციასა და თანამონაწილეობაზე
21. ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობას დამქირავებელთან, უწევს კონსულტაციას და აძლევს რჩევებს ოკუპაციასთან და ოკუპაციურ პერფორმანსთან დაკავშირებით. იყენებს ისეთ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ხედვის ინტეგრაციას
22. ამოიცნობს და უმკლავდება ეთიკურ დილემას, რაც თავს იჩენს მის პროფესიულ ურთიერთობებში
23. შეუძლია ოკუპაციურ თერაპიასთან დაკავშირებული ინფორმაციის, იდეების, პრობლემების და გადაჭრის გზების გაზიარება ინტერდისციპლინური თუ მულტიდისციპლინური გუნდისთვის, ასევე ოკუპაციური თერაპიის სტუდენტებისთვის და მათთვის ვისაც არ აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება.

პროფესიული ავტონომია და პასუხისმგებლობა

ოკუპაციური თერაპევტი

24. ახორციელებს პრაქტიკას ოკუპაციური თერაპიის ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკის, ეთიკის კოდის და რეგულაციების შესაბამისად
25. მიჰყვება ოკუპაციური თერაპიის სერვისის დოკუმენტაციის მართვისათვის შემუშავებულ პროცედურებს
26. მუშაობს თავისი ცოდნის, უნარების ფარგლებში და საჭიროებისამებრ მიმართავს სხვა პროფესიონალებს
27. ახდენს ავტონომიის მაღალი ხარისხის დემონსტრირებას სწავლის საჭიროების და შესაბამისი შესაძლებლობის იდენტიფიკაციაში; ერთვება უწყვეტი პროფესიული განათლების პროცესში

კვლევა და განვითარება ოკუპაციურ თერაპიაში/მეცნიერებაში

ოკუპაციური თერაპევტი

28. ეფექტურად მონაწილეობს კვლევის ტიპის პროექტებში
29. მონაწილეობს კონფერენციებში, სამუშაო ჯგუფებში და ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას სამუშაო ადგილზე

30. შეუძლია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მტკიცებულების კრიტიკა, რათა მოახდინოს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარება; ესმის მტკიცებულების საზღვარი არსებული პრაქტიკისთვის

ოკუპაციური თერაპიის მენეჯმენტი და ხელშეწყობა

ოკუპაციური თერაპევტი

31. პოპულაციის ყოველდღიური საქმიანობების საჭიროებებიდან, უფლებებიდან და ამ საქმიანობების ჯანმრთელობასთან და კეთილდღეობასთან კავშირიდან გამომდინარე ახორციელებს ხელშეწყობ (პრომოუშენის) აქტივობებს
32. კლიენტების საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, ანიჭებს პრიორიტეტს და ხელს უწყობს ოკუპაციური თერაპიის სერვისს
33. ახორციელებს ოკუპაციური თერაპიის სტუდენტების, დამხმარეების, ასისტენტების, მოხალისეებისა და სხვების სუპერვიზიას
34. ადგილობრივი ჯანმრთელობისა და სოციალური გამოწვევების საპასუხოდ იაზრებს და ნერგავს სტრატეგიებს, რათა პროაქტიულად შეუწყოს ხელი სერვისების მიწოდებას, განსაკუთრებით ადგილობრივ დეონეზე
35. ესმის და იყენებს მენეჯმენტის სტრატეგიებსა და მეთოდებს

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სასწავლო პროგრამა აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაზე. სწავლა-სწავლებისას გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, როგორცაა:

- პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება
- კვლევაზე და ლიტერატურაზე მუშაობა
- ინტერაქტიური ლექცია პრეზენტაციის მრავალფეროვანი გზების გამოყენებით
- ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები
- ვიდეო დაკვირვება
- შემთხვევის (case) განხილვა
- მუშაობა, დისკუსია, დებატი, კონსულტაცია, მენტორინგი.
- პრაქტიკული აქტივობების განხორციელება
- პრეზენტაცია: ზეპირი, წერიტი, პროდუქტის
- დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტს მხარდაჭერას უწევს პირადი მენტორი, რომელიც ეხმარება სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვაში, სასურველი გამოცდილების და რესურსების მოძიებაში, თვით-კრიტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „ვერ ჩააბარა“, „ჩაიჭრა“.

ქულათა	შეფასება	შეფასების
--------	----------	-----------

მაქსიმალური რაოდენობიდან		კვალიფიკაცია
90%-ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი
81 %- 90%	(B) „მალიან კარგი“	დადებითი
71% – 80%	(C) „კარგი“	დადებითი
61% – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი
51 %- 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი
41 %- 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“ (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება	უარყოფითი
0% – 40%	(F) „ჩაიჭრა“ (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

პროგრამის ხელმძღვანელები და კოორდინატორი

პროგრამის ხელმძღვანელები:

- ნინო ჩიხლაძე, თსუ ასოცირებული პროფესორი
- ჯოანა (ჰანეკე) ვან ბრუგენი, დოქტორის საპატიო სამეცნიერო ხარისხი, ბრაიტონის უნივერსიტეტი

კოორდინატორი: ნინო რუხაძე

დასაქმების სფეროები

ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია შემდეგი პრაქტიკის სფეროებში: პედიატრიული, ნევროლოგიური, ორთოპედიული, ფსიქიკური ჯანმრთელობის, გერიატრიული, თემზე დაფუძნებული (ოკუპაციურად დეპრივირებული ჯგუფები).

ოკუპაციური თერაპევტი მუშაობს რეაბილიტაციის ცენტრებში, სტაციონარში თუ ამბულატორიაში, დღის თუ საღამოს მოვლის ცენტრებში, პალიატიური მზრუნველობის ცენტრებში, მზრუნველობას მოკლებულ პირთათვის არსებულ სახლებსა თუ პანსიონებში, ბაგა-ბაღში, ზოგადსაგანმანათლებლო თუ სპეციალიზირებულ სკოლებში, სახელობო სასწავლებლებში, მხარდამჭერი დასაქმების ცენტრებში, დამხმარე საშუალებების შექმნის, შერჩევის და მორგების სერვისის უზრუნველყოფის ცენტრებში და სხვა.

ასევე შესაძლებელია მონაწილეობა კვლევით პროექტებში, სწავლებასა და ტრენინგებში.

პარტნიორობა

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია TEMPUS project: MP-JEP-23154-2002 ფარგლებში შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უწყებებთან - სოციალური მომსახურების სააგენტო; ადამიანთ ვაჭრობის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; ოკუპაციური თერაპიის ევროპული ქსელი უმაღლეს განათლებაში (ENOTHE); ჯანმრთელობის დამხმარე პროფესიების უმაღლესი სკოლა (SAH); ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი (NDC); მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის (MAC).

საკონტაქტო პირი: პროგრამის კოორდინატორი ნინო რუხაძე

E-mail: n_rukhadze@yahoo.com

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის სახელწოდება: მედიცინა (Medicine)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor)

პროგრამის მოცულობა: 6 წელი (360 ECTS კრედიტი)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელები:

პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე, პროფესორი დიმიტრი კორძაია, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისათვის ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას შემდეგი ძირითადი სფეროების მიხედვით:

- მედიცინის მეცნიერული საფუძვლები;
- კლინიკური ცოდნა და უნარ-ჩვევები;
- მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჯანდაცვის სისტემები;
- პროფესიული ფასეულობები, ქცევა და ეთიკა;
- კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;
- კრიტიკული აზროვნება და სამეცნიერო კვლევა;
- ინფორმაციის მართვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

ცოდნა და გაცნობიერება

ბიოსამედიცინო, ქვევითი, სოციალური, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა; კურსდამთავრებული აცნობიერებს მედიცინის დარგის ფუნდამენტურ და სამედიცინო პრაქტიკის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა, მიღებული ცოდნის საფუძველზე კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების

კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; აქვს მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი; მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; შუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.

დასკვნის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ღრმა კლინიკური აზროვნების უნარი, შეუძლია არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე.

სწავლის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენების და საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი და გაცნობიერებული აქვს მედიცინის დარგში ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.

ღირებულებები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული პატივს სცემს პაციენტის სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ ან ეთნიკურ კუთვნილებას; იცავს პაციენტის უფლებებს და ახორციელებს პაციენტის მხარდაჭერას. პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი ცოდნა

1. საბაზო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნა
2. ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა
3. კლინიკური მეცნიერებების ცოდნა
4. წამლები და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა
5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება
6. ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა

დარგობრივი უნარები

კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:

1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა

- ანამნეზის შეკრება
- ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება
- კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება
- განმარტებებისა და რჩევების მიცემა
- პაციენტის გამხნეება და მისი უფლებების დაცვა
- პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება

2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა

- კლინიკური მოხსენების სირთულის გაცნობიერება და შეფასება
- შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია
- დიფერენციული დიაგნოზის გატარება
- პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა
- ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა
- ქრონიკული დაავადების მართვა

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)

- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა
- ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა
- გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება
- გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება
- ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.

4. მედიკამენტების გამოწერის ცოდნა

- მედიკამენტების გასაგებად და აკურატულად გამოწერა
- შესაბამისი წამლებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება
- მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება
- ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა
- მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას

5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება

- წნევის გაზომვა
- ვენეპუნქცია
- ლუმბალური პუნქცია
- ვენაში კათეტერის ჩადგმა
- სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება
- ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში
- ჟანგბადის მიწოდება
- პაციენტების ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა

- ნაკერის დადება
 - სისხლის ტრანსფუზია
 - შარდის ბუმბის კათეტერიზაცია
 - შარდის ანალიზის გაკეთება
 - ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია
 - სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება
6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია
- პაციენტთან კომუნიკაცია
 - კოლეგებთან კომუნიკაცია
 - კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას
 - ნათესავებთან კომუნიკაცია
 - უნარშეზღუდულ პირებთან კომუნიკაცია
 - კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად
 - წერილობითი კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით)
 - კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია
 - კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით
 - კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებთან და მასმედიასთან
 - ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება
- კონფიდენციალობის დაცვა
 - მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება
 - ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება
 - სიკვდილის ცნობის გაცემა
 - აუტოფსიის მოთხოვნა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში)
 - მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება
 - სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში
8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება
- დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ფაქტორების შეფასება
 - დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების სოციალური ფაქტორების შეფასება
 - დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა
 - ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა
9. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება
- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში
 - შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება
 - გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.
10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება
- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა

- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება
- პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორთფოლიო)

11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავებისა და დასკვნების გაკეთების უნარი.
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მიეცნიერებების მიღწევების გამოყენების უნარი
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რევერატის/მიმოხილვის დაწერის უნარი
- სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსამთავრებულის ზოგადი კომპეტენციებია:

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი. შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. აქვს ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა, შეუძლია სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

2. ინფორმაციის მართვა. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება. პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.

3. პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად. შეუძლია კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს საკუთარი სპეციალობის ფარგლებში.

4. მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი. მშობლიურ და უცხო ენაზე შეუძლია თავისუფლად კომუნიკაცია, შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, აქვს არასპეციალისტებთან დიალოგის უნარი მათთვის გასაგები ენით; შეუძლია დეტალური წერილობითი ანგარიშების და ჩანაწერების მომზადება.

5. მეორე ენის ცოდნა. ერთ-ერთი ევროპული ენის B2 დონის შესაბამისი ცოდნა.
6. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) შეუძლია მათი მეშვეობით ინფორმაციის მოძიება; შეუძლია მულტიმედიის და ელექტრონული ინტერაქტიული პროგრამების გამოყენება, მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; აქვს კომპიუტერის, საოფისე პროგრამების გამოყენების უნარი; აქვს ინფორმაციის წყაროების მოძიების უნარი, ინფორმაციის შენახვისა და გამოყენების უნარი, ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაციის უნარი.
7. ჯგუფში მუშაობა. გააჩნია ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა.
8. კომუნიკაციის უნარი. აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი. შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.
9. ეთიკური პრინციპების დაცვის უნარი. იცავს ეთიკის პრინციპებს კოლეგებთან, პაციენტებთან და არასპეციალისტებთან ურთიერთობაში. შეუძლია ეთიკური დილემის ანალიზი და გადაჭრა.
10. სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი. შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი.
11. ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი. კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი.
12. კვლევის უნარი. აქვს კვლევითი სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობის უნარი, შეუძლია სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზი, აქვს კვლევის დაგეგმვის, მეთოდების და სამეცნიერო ცოდნის გამოყენების უნარი; შეუძლია დოკუმენტური მასალის მოგროვება, კვლევის საგნის ირგვლივ ლიტერატურის მიმოხილვა, მიღებული მონაცემების დამუშავება, კვლევის შედეგების პრეზენტაცია და კამათში მონაწილეობის მიღება. იცნობს კანონმდებლობისა და ბიოეთიკის პრინციპებს კვლევებთან მიმართებაში.
13. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა.

სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება სწავლების შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, კოლოკვიუმები
- კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching)
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება

- ლაბორატორიული სწავლება
- პრეზენტაციები
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა
- სამუშაო პრაქტიკა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასაქმების სფეროები:

– პრაქტიკული მოღვაწეობა – უმცროსი ექიმი (უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი));

– პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა (დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლებააქვს, გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება);

– წინაპირობა დოქტორანტურაში ჩასაბარებლად (დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, როგორც მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი (კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“, 48-ე მუხლი), დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლებას იძლევა);

– თეორიულ მედიცინაში მოღვაწეობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

პროფესორი დიმიტრი კორძაია, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: dimitri.kordzaia@tsu.ge

მაია ხუბუა, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი

E-mail: maia.khubua@gmail.com

The title of the program: Medicine

Awarded qualification: Medical Doctor

Capacity of the Program: 6 years (12 semesters - 360 ECTS)

Language of Education: English

Aims of the Program:

The program aim at providing students with the knowledge, relevant to the international medical standards and developing appropriate skills.

The educational program provides students with knowledge and skills in the following areas:

- Scientific Basis of Medicine;
- Clinical knowledge and skills;
- Population Health and Health Systems;
- Professional Values , Ethics and Behaviour;
- Communication skills;
- Critical thinking and scientific research;
- Information management.

Prerequisites for the admission to the Program:

The program admits international applicants in full compliance with Georgian Legislation.

Prerequisites: Biology, Chemistry and English language courses studied at school.

Learning Outcomes:

Knowledge and understanding

After completing the educational program, the graduate will have the ability to use knowledge of natural sciences in practice, deep and systematic knowledge of behavioral, social and clinical sciences; knowledge of the main groups of drugs, principles of their prescription according to the pathologies and diseases; . deep knowledge of the public health system and realize the doctor's role in this system; deep knowledge of ethical and legal principles; understanding of the ways of solving complex clinical problems.

Applying knowledge in practice - After completing the educational program, the graduate will be able: to evaluate clinical cases, including urgent medical conditions, plan diagnostic tests, link the relevant drugs and treatments to the clinical context, assess the potential benefits and risks of treatment for the patient; to carry out actual procedures, relevant to the acquired knowledge; to work in a multidisciplinary group as an ordinary member as well as the leader of the team; to identify the tasks clearly, agree them with the group members, coordinate their activities and assess adequately the abilities of the team members, manage conflicts and force majeure situations; to use of biomedical scientific principles, methods and knowledge in medical practice and research.

Making Judgment - After completing the educational program, the graduate will have the comprehensive clinical thinking, critical analysis of the incomplete and contradictory data of the examinations, to conduct differential diagnoses, diagnose and reason the diagnosis by means of evidence-based principles, skills and knowledge.

Communication- After completing the educational program, the graduate will be able to maintain effective oral and written communication in native and foreign languages in terms of medical context, the ability to put questions, as well as non-verbal communication skills.

Learning skills - After completing the educational program, the graduate will be able to use full range of educational and informational resources, manage his/her learning process; will have time organizing, prioritizing skills, the ability to meet deadlines and perform the agreed work; the ability to obtain information from various sources, critical thinking skills; realize the necessity of constant knowledge renewal and continuous professional development; the ability to evaluate the own knowledge and skills.

Values - After completing the educational program, the graduate will have knowledge of ethical and legal principles in the context of medical practice.

Sectoral competences

Sectoral Knowledge

1. Knowledge of basic natural sciences
2. Knowledge of behavioral and social sciences
3. Knowledge of clinical sciences
4. Knowledge of medicines/drugs and principles of their prescription
5. Knowledge of the public health system and understanding the role of the doctor in this system
6. Knowledge of ethical and legal principles

Sectoral Skills

Graduates should be able to:

1. Consult a patient

Gather the patient intake (collect anamnesis)

Carry out physical examination

Have clinical thinking and decision making skills

Give explanations and advice

Encourage the patient and protect his/her rights

Assess the patient's psychological status

2. Evaluate clinical cases, plan the diagnostic examinations, conduct differential diagnoses, and discuss the disease management plan,

Understand and assess the complexity of clinical report

Appoint of relevant diagnostic tests and interpret its results

Conduct Differential diagnosis

Discuss the disease management plan with patients and their caregivers

Care for terminally ill patient and his/her family

Manage the chronic diseases

3. Assist during the medical emergencies (First aid and resuscitation measures)

Identification and assessment of medical emergency

Treatment of medical emergency cases

Render basic first-aid measures

Take basic life-care and cardiopulmonary resuscitation measures in line with guidelines

Take the advanced life-saving measures in line with guidelines

Treatment of injuries (trauma) according to guidelines

4. Knowledge of prescription of the medicines/drugs

Prescribe the medicines/drugs accurately and comprehensively

Link the medicines/drugs and other medical measures with the clinical context

Review the compliance of the medication and other types of treatment and the evaluation of the potential benefits and risks for the patient

The treatment of pain and distress

Consider the compliance of the medications while prescribing the treatment

5. Perform the practical procedures

Pressure measurement

Vein puncture

Lumbar puncture

Catheter insertion in vein

Insert medications into a vein and use of infusion device

SC and IM injections

Oxygen supply

Transportation and related treatment of the patients

Surgical stitches

Blood transfusion

Bladder catheterization

Perform the urine test

recording electrocardiogram

Functional testing of respiratory system

6. Maintain effective communication in terms of medical contexts

Communicate with the patients

Communicate with colleagues

Communication while telling bad news

Communicate with relatives

Communicate with disabled people

Communicate for getting informed consent

Written communication (including medical records)

Communication in case of conflict

Communicate with the help of the third person

Communicate with law enforcement agencies and mass media

Communicate effectively with any person irrespective of his/her social, cultural, religious or ethnic background.

7. Apply the ethical and legal principles in medical practice

Respect confidentiality

Apply the principles of ethics and skills of making analysis during treatment

Obtain the informed consent and make the relevant record

Issue the death certificate

Request the autopsies (in the cases prescribed by law of Georgia)

Use of Georgian and International law during the treatment

Performing the medical activities in a multicultural society

8. Evaluate psychological and social aspects of the patient, associated with the disease

Evaluation of influence of psychological factors on the patient and disease manifestation

Evaluation of influence of social factors on the patient and disease manifestation

Determination of illness-related stress

Determination of dependence on the alcohol and medication

9. Use of Evidence-based principles, skills and knowledge

Use of evidence in practice

Define properly and conduct relevant literary research

Critical evaluation of published literature, make conclusions and use in practice.

10. Use effectively the information and information technologies in medical context

Keep clinical records accurately and comprehensively

Use of modern information technology in practice

Search for specific information resources

Save information and use it later

Skills of keeping personal record (portfolio)

11. Use of the principles, methods and knowledge of biomedical science in medical practice and research

Knowledge of the methodology of scientific research

The skills of research designing, detailed planning, processing the obtained results and making conclusions

The ability to use the achievements of the biomedical sciences in practice

Ability to write a report/review based on critical analysis of biomedical scientific literature

Knowledge of the principles of ethics for scientific research

12. Implement health promotion activities, be involved in public health issues, and work effectively in the healthcare system

Provide such treatment, which minimizes the risk of harm to the patient

Taking measures preventing the spread of infections

Understand the own health problems and assess the own health in terms professional responsibilities

Participation in health care promoting activities, both as individual as well as on the population levels

After completing the educational program, the graduate will acquire the following general competences:

1. The skills of analysis and synthesis - The graduate is able to assess critically difficult, incomplete and contradictory data, conducts their independent analysis, State the results of the analysis in an understandable manner and then apply them in practice, has a critical approach to new information, can analyze, summarize, integrate, make conclusions from various data, provide evidences and/or contradictional arguments while analysing the results

2. Management of information – The graduate is able to obtain information from various sources, processing large amounts of information and assess it critically. The graduate has the ability to use the gathered information in professional activities.

3. Problem solving / decision making – The graduate is able to identify the complex problems, formulate them, determine of ways of solving, analyze the expected results and make the final decision independently. He/she is familiar and in case of necessity able to use additional resources effectively, within the own specialty.

4. Ability of oral and written communicate in native language - On the native language the graduate is able to communicate freely, to participate in the discussion on a professional level, to participate in dialogue with non-professionals in the understandable for them manner.
5. Knowledge of the second language - Knowledge of one of the European languages at B2 level.
6. Ability to use information and communication technologies - The graduate is familiar and able to use the modern information and communication technologies (ICT) and search for the information; is able to use multimedia and interactive electronic applications, including sectoral field; is able to use new information technologies independently; is able to use computer and office software applications; is able to find sources of information, store and apply the information, has the skills of communication in the electronic format.
7. Team work - The graduate has the ability to work in a team as an ordinary member, as well as the leader. He/she is able to identify the tasks clearly, agree them with the group members, coordinate their activities and assess adequately the abilities of the team members, manage conflicts and force majeure situations
8. Communication skills – The graduate has skills of observation, listening, putting questions, as well as the skills of the non-verbal communication. He/she is able to participate in the meetings and giving own opinions through the oral and written communication. He/she is able to lead the negotiations professionally and participate in conflict resolution.
9. Ability to observe ethical principles – The graduate observes the principles of ethics with colleagues, patients and non-specialists. Can analyze and solve the ethical dilemma.
10. Permanent renewal of learning / knowledge
The ability to use full range of educational and informational resources, manage his/her own learning process. He/she realizes the need for continuous renewal of the knowledge; the medical doctor has the ability to assess his/her knowledge and skills objectively.
11. Ability to adapt to a new environment – The graduate has the practical skill for working with the staff, professional subordination/adaptation skills, ability to use new technologies.
12. Research skills - The graduate has the ability to participate in the research work, can analyze critically the scientific papers, the ability of planning the research, using research methods and scientific knowledge; The graduate is able to collect documentary material, review the literature on the subject of research, process the received data, make the presentation of the research results and participate in the debates. He/she knows the principles of legislation and bioethics in relation to studies.
13. Ability to work independently - The graduate has the skills of time management, prioritizing, meeting the deadlines and performing the agreed works. He/she is able to plan properly resources, related to its activities. Is responsible for performed work and able to evaluate and criticize it.

Methods of achieving learning outcomes:

The following forms of teaching will be used in the teaching process:

- Interactive lectures, seminars, colloquiums
- Bedside teaching
- Use of simulators and training models
- Role plays of the patients and doctors
- Laboratory training
- Presentations
- Participation in scientific research

- Practice

Evaluation system of the Student's Knowledge:

Evaluation of the student's knowledge is determined by the following system: “Excelent”, “Very good”, “Good”, "Average", "Satisfactory/Passing", "Marginal Fail", "Fail".

Evaluation of the student is based on the following principles:

Maximum score	Classification of Evaluation	Evaluation
91 -100	Positive	(A) Excelent
81 – 90	Positive	(B) Very good
71 – 80	Positive	(C) Good
61 – 70	Positive	(D) Satisfactory
51 – 60	Positive	(E) Sufficient
41 – 50	Negative	(FX) Close Fail (has the right to resit an exam)
0 – 40	Negative	(F) Failure (Has to retake the course)

The student’s final grade in a specific discipline is determined by the amount of scores collected by him/her through the interim and final evaluation (examination) in the respective type of studies (lecture, seminar, practical studies, performance of the laboratory based work).

Program Director (Directors, Coordinator): Professor Alexander Tsiskaridze and Professor Dimitri Kordzaia, Dean of the Faculty of Medicine

Fields of the Employment:

- Practice – junior doctor (The junior doctor shall perform the duties of a doctor according to the instructions and under the responsibility of an independent medical practitioner (Law of Georgia on Medical Practice, Article 5));
- Pedagogical (teaching) and research activities (A person with an academic degree of the medical doctor is entitled to continue studying on the doctoral (PhD) program or take the residency course and receive the right of independent medical practice after passing the uniform state certification examination);
- Prerequisite for admission to the doctoral (PhD) program (The academic degree of Medical Doctor, being the degree equalised to Master’s academic degree (Law of Georgia on Higher Education Article 48), grants the right of taking the Doctoral Program)
- Prerequisite for admission to the residency course;
- Work in theoretical medicine.

Contact Persons:

Professor Dimitri Kordzaia, Program Director

E-mail: dimitri.kordzaia@tsu.ge

Tamar Enukidze, Senior Specialist, Faculty of Medicine.

E-mail: tamar.enukidze@tsu.ge

პროგრამის დასახელება: სტომატოლოგია/ Dentistry

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (D.M.D)

სწავლების ვადა: 5 წელი (300 ECTS)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის დირექტორი: მედიცინის დოქტორი თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი ვლ.მარგველაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ერთსაფეხურიანი ე.წ. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტებისათვის საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და უნარ-ჩვევების გამომუშავება; მაღალკვალიფიციური სტომატოლოგების მომზადება, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს სტომატოლოგიური მომსახურების დონის ამაღლებას, პირის ღრუს დაავადებების პრევენციას და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას; გამოუმუშაოს კურსდამთავრებულებს დაკვირვებულობა, დანახული, მოსმენილი, გამოვლენილი სიმპტომების ლოგიკური გაანალიზების უნარი, რათა შემდგომ იგი დაუკავშიროს ერთიან პათოგენეტიკურ პროცესს, დასახოს და დაასაბუთოს კომპლექსური სტომატოლოგიური მკურნალობის გეგმა და პაციენტის მენეჯმენტის ტაქტიკა. ამასთან ერთად, კურსდამთავრებულს ათვისებული უნდა ჰქონდეს ძირითადი მანუალური ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადი პრაქტიკის ექიმ-სტომატოლოგის პროგრამით მომზადებული სპეციალისტების მიერ პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

სწავლის შედეგები: საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ

კურსდამთავრებულს აქვს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ადამიანის ორგანიზმში ნორმალურ და პათოლოგიურ მდგომარეობებში ქიმიურ, ბიოქიმიურ, მოლეკულურ, მიკრობიოლოგიურ და ჰისტოლოგიურ დონეზე მიმდინარე პროცესების შესახებ ცოდნა;
- ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის ღრმა ცოდნა;
- კლინიკური მეცნიერებების, რომლებიც მჭიდრო კავშირშია პირის ღრუს დაავადებებთან (რადიოლოგია, დერმატოლოგია, ვენეროლოგია, ზოგადი მედიცინა და დიაგნოსტიკა, ოტორინოლარინგოლოგია, პედიატრია, ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, შინაგანი სნეულებანი და ინფექციური დაავადებანი, ალერგოლოგია, ენდოკრინოლოგია და თავისა და კისრის ონკოლოგია) საბაზისო ცოდნა.
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და ფუნქციონირების, დაავადებების პრევენციისა და მათი მართვის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ქცევების ცვლილებების შესახებ სისტემური ცოდნა;
- კვლევის მეთოდების (ბიოსტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური) სისტემური ცოდნა;
- ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობისა და ეთიკური ასპექტების, პაციენტის უფლებებისა და საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საკითხების შესახებ სისტემური ცოდნა;
- სტომატოლოგიური მეცნიერებების -თერაპიული სტომატოლოგია, ბავშვთა ასაკის სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია ღრმა ცოდნა;
- სტომატოლოგიური მასალების შესახებ საბაზო ცოდნა;
- პირის ღრუს დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობის გეგმის დასახვის და შესაბამისი კომპეტენციების გაათვალისწინებით მკურნალობის მეთოდების შესახებ სისტემური ცოდნა;
- ნამკურნალები პაციენტის კონტროლისა და მკურნალობის შედეგების შენარჩუნებისათვის მენეჯმენტის სისტემური ცოდნა;
- წამლების ძირითადი ჯგუფების შესახებ საბაზო ცოდნა;
- სტომატოლოგიური პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი წამლების ურთიერთქმედებების შესახებ საბაზისო ცოდნა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- თერაპიული სტომატოლოგიის, ორთოპედიული სტომატოლოგიის, ქირურგიული სტომატოლოგიის, იმპლანტოლოგიის თუ ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კომპეტენციების გათვალისწინებით პირის ღრუს დაავადებების დიაგნოსტიკის, პრევენციის, მკურნალობის და ქრონიკულ დაავადებათა მართვის უნარი.
- პირის ღრუს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ძირითად და ალტერნატიულ ღონისძიებათა დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდების გამოყენების უნარი;
- პრობლემური საკითხების, არასრული და რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობრივი მონაცემების არსებობის დროს იდენტიფიცირების, კრიტიკული ანალიზის ჩატარებისა და გადაწყვეტის არგუმენტირებული წინადადებების შემუშავების უნარი;

- კრიტიკული ანალიზის, შესაბამისი კლინიკური გამოკვლევების, სათანადო პროცედურების ჩატარების, წამლების ჯგუფების დანიშვნის სამკურნალო - პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების კონტექსტში, საზოგადოებრივ და ჯანდაცვით ფასეულობებზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღების, ჯგუფური მუშაობის, ლიდერობისა და უახლეს მიღწევათა ქვეყნის ჯანდაცვით სისტემაში ინტეგრირების უნარი

დასკვნის გაკეთების უნარი:

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- ინდივიდის, მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაში პირის ღრუს ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის შეფასების, ასაკობრივი მდგომარეობების გათვალისწინებით დიფერენცირებული დიაგნოსტიკისა და დიაგნოზის ჩამოყალიბების უნარი;
- უახლეს მონაცემებზე დაფუძნებით რთულ კლინიკურ და საზოგადოებრივ ჯანმრთელობის მდგომარეობებში მონაცემთა სინთეზისა და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების უნარი;

კომუნიკაციის უნარი :

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- აკადემიურ და პროფესიონალურ წრეებში საკუთარი იდეების, წინადადებების, გადაწყვეტილებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მშობლიურ და ინგლისურ ენაზე ზეპირსიტყვიერ, ბეჭდვით, თუ ონლაინ რეჟიმში წარდგენისა და დაცვის უნარი;
- მტკიცებულებითი აზრის პროფესიონალურ ინფორმაციულ სივრცეში გამოყენების უნარი;
- კბილის ტექნიკოსისთვის სამკურნალო ორთოპედიული თუ ორთოდონტიული კონსტრუქციის შესახებ მითითებების ვერბალურ და წერილობით ფორმატში მიწოდების უნარი;
- სტომატოლოგიის სპეციალობების უწყვეტ განათლებაში მონაწილეობის მიღების უნარი;
- პროფესიულ კონფლიქტებსა და კრიტიკულ სიტუაციებში მოლაპარაკებების წარმოების უნარი;

სწავლის უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- პირის ღრუს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ბიოეთიკური უახლესი თემატური საკითხების დამოუკიდებლად ათვისების უნარი;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისა და მეცნიერული კომპონენტების ჩაღრმავებული ხედვის, შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი;
- სტომატოლოგიის სპეციალობებში უწყვეტი განათლების სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;
- მტკიცებითი სტომატოლოგიის მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად სწავლის უნარი;

ღირებულებები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- სოციალური, რელიგიური თანასწორობისა და დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ინტრაპერსონალურ ურთიერთობებში თავისი და სხვათა ბიოეთიკური კუთხით შეფასების უნარი;
- პაციენტის უფლებების დაცვისა და პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დამკვიდრების უნარი;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: პროგრამა მოიცავს თეორიულ და ლაბორატორიულ სწავლებებს, ასევე პრაქტიკებს, რომელიც იმპლემენტირებულია უშუალოდ საგნებში თემატური მიმართულებების მიხედვით. პრაქტიკები ტარდება მენტორული სისტემის გამოყენებით, კლინიკური პროფესიონალური უნარების შეფასებისას გამოიყენება სტრუქტურირებული შეფასების სისტემა სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში.

- ლექცია-სემინარები
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ვიდეო-აუდიო სასწავლო მასალის გამოყენება
- ინტერაქტიულ მეცადინეობები
- ლაბორატორიული მეცადინეობები
- პრაქტიკული მეცადინეობები
- სიტუაციური ამოცანები
- სიახლეთა გარჩევა
- პრაქტიკული მუშაობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- იმიტირებული შესრულება
- პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა
- მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება
- ფანტომებზე მუშაობა
- პაციენტების დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის დასახვა და სტომატოლოგიური მკურნალობა პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ
- კრიტიკული ანალიზი
- დისკუსიურ-დებატური თემების წარმოდგენა და დაცვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დასაქმების სფეროები:

– პრაქტიკული მოღვაწეობა – უმცროსი ექიმი (უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-5 მუხლი));

– პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა (დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლებააქვს, გააგრძელოს სწავლა მაგისტრატურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება);

– წინაპირობა დოქტორანტურაში ჩასაბარებლად (დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, როგორც მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი (კანონი „უმადლესი განათლების შესახებ“, 48-ე მუხლი), დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლებას იძლევა);

– თეორიულ მედიცინაში მოღვაწეობა.

საკონტაქტო პირი:

პროფესორი ვლადიმერ მარგველაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: v_marg@yahoo.com

მაია ხუბუა, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი

E-mail: maia.khubua@gmail.com

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 120 ECTS კრედიტი

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ნატა ყაზახაშვილი, MD PHD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო ეროვნული გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა წარმოადგენს შედარებით ახალ, ძალზე სწრაფად მზარდ დისციპლინას. იგი შეისწავლის თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემო ფაქტორები; აგრეთვე ჯანდაცვის სისტემის მოწყობის და მართვის საკითხებს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფუნდამენტურ საკითხებში მაგისტრანტთა ღრმა და საფუძვლიანი სწავლება, ანალიტიკური აზროვნების განვითარება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება, კერძოდ: საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული და სოციალური მიმართულებების, ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის, ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმის, ჯანდაცვის პრიორიტეტების, სხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოწყობის, სისტემის სტრუქტურის, პირველადი ჯანდაცვის სისტემის მართვის, ჰოსპიტალური მენეჯმენტის, მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფების

ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის საჭიროების შეფასების, სამედიცინო სერვისების სამედიცინო ბაზარზე მიწოდების, სამედიცინო მომსახურების შესყიდვის, ჯანდაცვის კანონმდებლობის და სხვათა შესახებ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაზისურ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს; გაეცნონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს ექნება ცოდნა, რომელიც დაეფუძნება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მიღებულ განათლებას, მაგისტრანტი გააღრმავებს თავის ცოდნას ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ეპიდემიოლოგიაში, ბიოეთიკასა და სამედიცინო სამართალში, გარემოს ჯანმრთელობის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გააცნობიერებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, როგორც მეცნიერების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. მეცნიერული კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს კვლევა და უზრუნველყოს იდენის ორიგინალური განვითარება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრანტს შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება პრობლემის დანახვის და მის გადასაჭრელად წინადადებების მომზადების უნარი. მაგისტრანტი შეძლებს ცოდნის გამოყენებას პრაქტიკული საქმიანობის დროს ახალ და უცნობ გარემოში, თავის სპეციალობასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში; ექნება ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეძლებს თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც პრობლემის გადასაჭრელად გამოთქმული მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიც აისახება;

დასკვნის უნარი

მაგისტრანტს შეეძლება თავისი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა, მისი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული ინფორმაციის (მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე უახლესი კვლევების გამოყენებით) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

ვერბალური კომუნიკაციის და სხვადასხვა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულებული სამუშაოს შინაარსის, პრობლემის აქტუალობის, საკუთარი დასკვნების, მოსაზრებების და არგუმენტაციის, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, განსხვავებული აზრის მოსმენა, ოპონირება და საკუთარი აზრის

დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ სადაც შესაძლებელია მეცნიერული მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აზრის გამოთქმა მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი

სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს:

აუდიტორულ მეცადინეობაზე აქტიურობა, სასწავლო პროცესში ინტენსიური მონაწილეობა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; დროის მენეჯმენტი -პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილება, სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ჩასაბარებლად დადგენილი ვადების დაცვა; სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილი, რის საფუძველსაც ქმნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას წარმოჩენილი უცნობი, რთული და მასშტაბური საკითხების შემდგომი შესწავლის აუცილებლობის დადგენის უნარი. მაგისტრანტი შეძლებს მომავალში შესასწავლი საკითხებიდან პრიორიტეტების განსაზღვრას და სწავლის სწორედ დაგეგმვას.

ღირებულებები

სასწავლო პროგრამის დაძლევის შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს დაინახოს ის ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობისთვის. სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა. მაგისტრანტს გამოუმუშავდება ღირებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობა, ზოგადად ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობა მოითხოვს ჰუმანურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობაზე აგებულ ურთიერთობებს. მაგისტრანტი მიიღებს რა ცოდნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეძლებს სხვების დამოკიდებულების შეფასებას და პატივისცემას, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები
- სემინარები
- კოლოკვიუმები
- პრეზენტაციები

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: “ფრიადი“, “ძალიან კარგი“, “კარგი“, “საშუალო“, ”დამაკმაყოფილებელი“, “არადამაკმაყოფილებელი“, “სრულიად არადამაკმაყოფილებელი”.

სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	შეფასება
91 -100	“ფრიადი”	დადებითი	A „ფრიადი“
81 – 90	“ძალიან კარგი”	დადებითი	B„ძალიან კარგი“
71 – 80	“კარგი”	დადებითი	C„კარგი“
61 – 70	“საშუალო”	დადებითი	D„დამაკმაყოფილებელი“
51 – 60	“დამაკმაყოფილებელი”	დადებითი	E„საკმარისი“
41 – 50	“არადამაკმაყოფილებელი ”	უარყოფითი	(FX) „ვერ ჩააბარა“ (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება
0 – 40	“სრულიად არადამაკმაყოფილებელი”	უარყოფითი	F„ჩაიჭრა“ (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)

სტუდენტის მიერ შესაბამის სწავლების სახეობაზე (ლექცია, სემინარი და სხვა) საშუალოდ შემოწმებების შეფასებებითა და დასკვნითი შეფასებით დაგროვილ ქულათა რაოდენობით განისაზღვრება მისი საბოლოო ნიშანი კონკრეტულ დისციპლინაში.

მაგისტრანტთა დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი მომზადებული იქნება დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის, მის მიერ სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო სექტორში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, სადაზღვევო კომპანიებში, ფარმაცევტულ სექტორში, სამედიცინო დაწესებულებებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე, აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება (მაგ. შრომის, აჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები. მაგისტრის ხარისხის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები შეძლებენ მუშაობას კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მკვლევარის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონსულტანტის და ასისტენტის თანამდებობებზე, მაგისტრატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება მათ ასევე საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

თსუ მედიცინის ფაკულტეტი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი 2017-2018 სასწავლო წლებში დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო პროექტის განხორციელება, სადაც გათვალისწინებულია მაგისტრანტების აქტიური ჩართულობა, წარჩინებული სტუდენტებისთვის გასვლა უცხოეთის უნივერსიტეტებში. ამავე პროექტების ფარგლებში

განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სწავლებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

საკონტაქტო პირი:

ასოცირებული პროფესორი ნატა ყაზახაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: nata.kazakhstanvili@gmail.com

Master Program Title: Public Health

The innovative Georgian-Norwegian Collaborative Master Program is designed in the framework of SIU founded CPEA-2015/10057 Project „Georgian-Norwegian Collaborative in Public Health (GeNoC-PH)” and partnership between Ivane Javakhishvili Tbilisi State University/TSU (Georgia), The Arctic University of Norway/UiT (Norway) and National Center for Diseases Control and Public Health/NCDC (Georgia).

Academic Degree Offered: Master of Public Health (MPH)

Head of the Master’s Program: Nino Chikhladze, MD, PhD, Associate Professor, Department of Public Health, Faculty of Medicine, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

International academic adviser: Toralf Haswold, Professor Emeritus, the Arctic University of Norway/University of Tromso, Norway

Duration of the Study: Two years (four semesters)

Number of credits: 120 ECTS are required to complete the Master program.

Language of instruction: English

The aim of the Program: Master Program aims to provide student-centered and competence-based teaching harmonized with International standards of Public Health Master Level Education, therefore intends to train and inspire new generation of public health professionals in global network atmosphere, provide broad knowledge, skills and expertise that is needed to undertake leadership roles in addressing important issues of Public Health at national and global level.

Admission Requirements:

- Bachelor’s degree diploma in Health Sciences or in a relevant field (Social Sciences or Natural Sciences in case of documented minimum 5ECTS within the areas specific to master program: *Public Health, Epidemiology, Biostatistics, Environmental Health, Health Management, Health Economics, Health Promotion*), one cycle-undergraduate medical education diploma.
- The common entrance exam for master degree (for Georgian applicants only);
- University exam in English Language on level B2 or Certificate confirming the knowledge of English Language on level B2.

International Students: The program also admits International Students. Graduates of Foreign Universities are allowed to submit their application in full compliance with Georgian Legislation. Please, for more information refer to the web-page of Ministry of Education and Science of Georgia: <http://mes.gov.ge/content.php?id=1131&lang=geo>

The Learning Outcomes:

By the end of the study and after successful completion of the master program, students:

A. Knowledge and Understanding

-will have a profound and comprehensive knowledge of concepts and methods in public health; will be able to express in-depth understanding of population health and its social, economic and environmental determinants.

B. Applying knowledge in practice

-will be able to identify complex public health problems and to find the ways of problem solving in new or unfamiliar environment within multidisciplinary context and to apply epidemiological and statistical concepts, ethical principles, research methods to carry out independent research and/or health needs assessment, or health economic principles in the design of financing mechanism;

C. Making Judgment

-will be able to formulate Judgment in public health dimension on the basis of incomplete or limited information and innovative synthesis of the information; critically evaluate the quality of scientific publications in public health; perform risk assessment and health economic assessment of a given procedure, intervention, strategy or policy; write a public health policy proposal;

D. Communication

-will be able to present conclusion on public health policy and practice issues and effectively communicate public health messages with specialist and non-specialist audience;

E. Learning Skills

-will be able to continue learning independently, express understanding of the importance of LLL principles in public health;

F. Values

-will be able to respect ethical principles and human rights in health care and public health policy and practice.

Approach to Teaching and Learning:

Throughout Master of Public Health Program different methods will be employed:

- ✓ Interactive lectures/seminars using PP presentations, demonstration method using Video/Audio materials
- ✓ Computing practical, group work with peers
- ✓ Homework assignments, Quiz
- ✓ Presentations
- ✓ Debates/Discussions, Brainshtorming
- ✓ Observation
- ✓ Case/Problem/Role play-based learning
- ✓ The critical analysis method
- ✓ Participation in scientific research
- ✓ e-learning Platform Moodle

Student-centered and skills-based teaching and learning encourage students to be active during whole study and to take responsibility for their own learning.

Organization and Structure. Program covers the core principle of public health. Program cover academic training and research components. Totally Master Program consists of 120 ECTS (*1 ECTS - 25h.) which are distributed as follow: totally 80 ECTS are allocated to 8 core courses (3 mandatory courses per semester in I and II semester; 2 mandatory courses in III semester). 10 ECTS is allocated to elective course, students should register for not than one elective course in III semester. The IV semester is dedicated to the research component-Master Thesis (30 ECTS).

Each semester comprises 15 weeks. Normally most of courses will be held once or twice per week, but in case of visiting International lecturer or student mobility some core courses (for ex. „Environmental Health”, „Bioethics”) and elective courses can be organized in more intensive way. The schedule will be agreed with students in advance.

Master thesis

Master thesis is an original research project written by students and supervised by the Faculty. In the III semester students choose the topic for their thesis from the lists of proposed projects. The length of the paper should be 40-60 pages (not including references). Thesis requires both an oral defense and written paper. An internal expert evaluates Master Thesis according to following criteria: well defined statement of research question, understanding of scientific literature and critical analysis, research methodology, relevance of conclusions or policy implication, etc. Master thesis defense is evaluated by internal expert’s board. For more information, please refer to course description (syllabi).

Grading System:

Student’s knowledge is evaluated using the following grading scale: “Excellent”, “Very good”, “Good”, “Satisfactory”, “Sufficient”, “Marginal fail” and “Fail”.

Scores	Designation	Classification of Evaluation
91-100	(A) “Excellent”	Positive
81-90	(B) “Very good”	Positive
71-80	(C) “Good”	Positive
61-70	(D) “Satisfactory”	Positive
51-60	(E) “Sufficient”	Positive
41-50	(FX) “Marginal Fail” (Failed with the rights to the additional exam)	Negative
0-40	(F) “Fail” (Student should retake the teaching course)	Negative

Each module has its own assessment methods. The student’s final mark is determined by the number of scores for pre-exam components (60%) and final (examination) assessment (40%). Please, refer for more information to the each course description (syllabus).

Academic Integrity and Plagiarism. „Plagiarism is the reproduction or appropriation of someone else's work without proper attribution; passing off as one's own the work of someone else”.Students are responsible for understanding the concepts of academic integrity and plagiarism. In order to respect standards of academic ethics and avoiding plagiarism students will be inform about the academic integrity, scientific inquiry and plagiarism in the first year and in the frame of teaching course „Academic Writing and Scientific Research” in III semester as well.

Description of Resources. The Students are encouraged to use TSU facilities (classes, computer labs, workstations, library, e-learning teaching and learning Platform Moodle, access to electronic resources, such as a HINARI, Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR, as well as the facilities and resources (classes, library, statistical Reports, access to databases, data generated from national health registries) of the Department of Public Health, National Center of Disease Control and Public Health.

Career opportunity: Master of Public Health degree qualifies for leading positions in Health Care and Public Health facilities, Governmental and Non-Governmental Organizations concerned with public Health issues, as well in International Organization.

Learning Continuation Opportunity. The Master Program graduates will be able to continue studies and to apply for admission to Doctoral Programs in Higher Educational Institutions in Georgia or abroad.

Additional Information: The duration of SIU funded CPEA-2015/10057 Project „Georgian-Norwegian Collaborative in Public Health (GeNoC-PH)” is four years (01.03.2016-31.12.2019). The overall goal of the project is to increase public health competence in Georgia by developing a new, international, high-quality Master Program in Public Health (MPH). The project further aims to educate students on master level to utilize the large amount of data generated from newly developed national health registries in Georgia. Furthermore, in order to enhance knowledge transfer between Norway and Georgia in terms of register-based epidemiology and public health, short and long term students mobility at Arctic University of Norway (Norway) for individual courses, joint courses, semester exchange and supervision it is intended .

TSU is a part of the Erasmus Mundus External Cooperation programme and other students' exchange and mobility schemes.

Transcript. Diploma supplement offer by TSU was approved according to the format developed by the European Commission, Council of Europe and UNESCO/CEPES. Diploma supplement Include course names, weights in ECTS, grades and grade-point average (GPA).

Contact Person: Associate Professor Nino Chikhladze, Program Director
E-mail: nino.chikhladze@tsu.ge

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები

სადოქტორო პროგრამა: კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

(წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს მედიცინის მიმართულებებს და ქვემიმართულებებს სპეციფიკური კვლევითი კომპონენტებით: სამედიცინო რადიოლოგია და ენდოსკოპია, ნევროლოგია, ფსიქიატრია, პედიატრია, ქირურგია, გადაუდებელი მედიცინა, ინფექციური დაავადებები, მეანობა-გინეკოლოგია, რეპროდუქტოლოგია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია, დერმატო-ვენეროლოგია, კლინიკური პათოლოგია, მოლეკულური მედიცინა, ტრანსპლანტოლოგია, მორფოლოგია, პალიატიური და ტკივილის მედიცინა, სტომატოლოგია).

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მედიცინის დოქტორი (Ph.D in Medicine)

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი რომან შაქარიშვილი, პროფესორი დიმიტრი კორძია, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

სწავლების ენა: ქართული

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს, დოქტორანტს:

- მისცეს ღრმა თანამედროვე ცოდნა პათოლოგიურ მდგომარეობათა ეტიოლოგიის, პათოგენეზის, დიაგნოსტიკის პროგნოზისა და მკურნალობის შესახებ;
- ჩამოუყალიბოს დოქტორანტს ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით;
- გამოუმუშავოს სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმოების, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი. უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე.

სწავლის შედეგები ცოდნა და გაცნობიერება - კონკრეტულ დარგში (მიმართულებაში) მედიცინის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ისეთი ცოდნის მიღება რაც თავის მხრივ, ამ ცოდნის შემდგომი გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარების საშუალებას იძლევა; მედიცინაში არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და დიალექტიკური გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების სწორად გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. ბიოსამედიცინო პროფილის ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და კონტროლის უნარის გამომუშავება;

დასკვნის უნარი- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემების გადასაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი- მედიცინაში ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა; საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატური პოლემიკის წარმართვა უცხო ენაზე.

სწავლის უნარი - უახლეს მიღწევებზე დამყარებული ახალი ცოდნისა და იდეების სწრაფად გააზრებისა და დასწავლის (ცოდნაში გადატანის), ასევე სხვისთვის გადაცემის უნარ ჩვევების გამომუშავება და ეფექტურად გამოყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.

ღირებულებები - მეცნიერებაში ეთიკურ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობი არსებული ფაქტორების შესწავლა/გამოკვლევა და ამ მიმართულებით ინოვაციური ძიებებისათვის მზაობა;

საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინა“ გავლა აძლევს/უვითარებს სტუდენტს:

- ღრმა, ფუნდამენტურ ცოდნას თეორიულ, კლინიკურ და ექსპერიმენტულ მედიცინაში (არჩეული მიმართულების შესაბამისად);
- შესაძლებლობას (უნარს), დამოუკიდებლად დაგეგმოს და აწარმოოს სამეცნიერო კვლევები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- შესაძლებლობას (უნარს) შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ახალ, უცნობ გარემოში გადაჭრას როგორც მისთვის ძირითადი, ასევე მომიჯნავე დარგის სამეცნიერო პრობლემები;
- უნარს, არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სოციალურად და ეთიკურად მისაღები სამეცნიერო მოსაზრებები;
- უნარს, წარმართოს სწავლის პროცესი;
- შესაძლებლობას (უნარს) განსაზღვროს საკუთარი ცოდნისა და უნარების შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო რესურსები საშუალებები.

სასწავლო კომპონენტი: პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს. სასწავლო კურსი სტატუსი / კრედიტები

სავალდებულო ბლოკი

1. სწავლების თანამედროვე მეთოდები სავალდებულო 5 კრედიტი
2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სავალდებულო 5 კრედიტი
3. პროფესორის ასისტენტობა სავალდებულო 5 კრედიტი (მინიმალური რაოდენობა)
4. სემინარი (კვლევის მიმართულების მიხედვით) სავალდებულო 10 კრედიტი
5. აკადემიური წერა ბიომედიცინაში (სავალდებულოა მხოლოდ იმ დოქტორანტებისათვის, რომლებსაც სწავლების წინა საფეხურზე მოცემული კურსი არ აქვთ გავლილი) 5 კრედიტი

არჩევითი ბლოკი

სემინარი (კვლევის მიმართულების მიხედვით) არჩევითი 10 კრედიტი

პროფესორის ასისტენტობა არჩევითი 5 კრედიტი

აკადემიური წერა ბიომედიცინაში არჩევითი 5 კრედიტი

არჩევითი კურსების აღება დოქტორანტს შეუძლია დოქტორანტურის საფეხურისათვის შემოთავაზებული საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდანაც, მათ შორის მაგალითად მეცნიერების მენეჯმენტი არჩევითი 5 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი: დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის, სულ 40 კრედიტი) და სადისერტაციო ნაშრომს (80 კრედიტი).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით: A „ფრიადი“ (91-100), B „ძალიან კარგი“ (81-90), C „კარგი“ (71-80), D „დამაკმაყოფილებელი“ (61-70), E „საკმარისი“ (51-60), FX „ვერ ჩააბარა“ (41-50), F „ჩაიჭრა“ (0-40).

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები: სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სფეროები.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ ტექნიკური ბაზა: კვლევები შესრულებული იქნება თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკურ და ფუნდამენტური პროფილის ბაზებზე.

საკონტაქტო პირი:

პროფესორი დიმიტრი კორძაია, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: dimitri.kordzaia@tsu.ge

ფატი ძოწენიძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი

E-mail: Pati.dzotsenidze@tsu.ge

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება. ტრანსლაციური ბიო-მედიცინა (მიმართულება - “ჰეპატოლოგია”). Translational Bio-Medicine (direction – “Hepatology”)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად).

- მედიცინის დოქტორი (PhD in Medicine);

პროგრამის ხელმძღვანელები: თსუ პროფ. დიმიტრი კორძაია, თსუ პროფ. დიანა ძიძიგური ,

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი: პროგრამის აქტუალობა და სავარაუდო საკვლევი პრობლემები.

მიზანი:

წინამდებარე სტრუქტურირებული ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა „ტრანსლაციური ბიო-მედიცინა (მიმართულება - ჰეპატოლოგია)“ მიზნად ისახავს:

- თსუ-ში ბიო-მედიცინის პროფილის ტრანსლაციური კვლევების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობას;
- ინტრანსტიტუციური თანამშრომლობისა და არსებული სამეცნიერო პოტენციალის განვითარებით სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციას და აკადემიური ხარისხის გაუმჯობესებას;
- ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებას.

პროგრამა მოწოდებულია, დოქტორანტს:

- მისცეს თანამედროვე ცოდნა საბაზისო ჰეპატოლოგიის სფეროში;
- ჩამოუყალიბოს ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით;
- გამოუმუშავოს სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმოების, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი.

პროგრამის საჭიროების (მნიშვნელობის) აქტუალობის დასაბუთება:

დღეს ჰეპატოლოგია წარმოადგენს ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად სამეცნიერო მიმართულებას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ყოველწლიურად, ტრანსლაციური ჰეპატოლოგიის

განხრით რამოდენიმე ასეული ნაშრომი ქვეყნდება საერთაშორისო რეცენზირებად (“peer review”) და რეფერირებად ჟურნალებში. ასეთ ინტენსიური კვლევების შედეგების კლინიკაში გადატანის შედეგად მრავალ ქვეყანაში წარმატებით განვითარდა ღვიძლის რეზექციისა და ტრანსპლანტაციის მეთოდები. ამ მეთოდების დანერგვამ, თავის მხრივ, დააყენა ახალი სამეცნიერო პრობლემები და განაპირობა ახალი კვლევების ინიციატივა.

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე უკანასკნელი წლების განმავლობაში პროფ. დ. კორძაიას ხელმძღვანელობით ტარდება კვლევები ტრანსლაციურ ჰეპატოლოგიაში, რომელიც დაგეგმილია კლინიკური ჰეპატოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთანავე, თანამედროვე კლინიკური და ტრანსლაციური კვლევები მთლიანად ეფუძნება იმ მეთოდოლოგიას და ტექნოლოგიებს, რომლებიც ვითარდება ფუნდამენტურ ბიოლოგიაში.

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტში პროფესორ დიანა ძიძიგურის ხელმძღვანელობით ასევე სისტემატურად ტარდება კვლევები ფუნდამენტურ ჰეპატოლოგიაში.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კორძაიას და ძიძიგურის ხელმძღვანელობით შესრულებული კვლევების შედეგები ასახულია რეიტინგულ ჟურნალებში:

დ. კორძაიას ხელმძღვანელობით

1. Khodeli N, Chkhaidze Z, Partsakhashvili D, Pilishvili O, Kordzaia D. Theoretical background of finding organs for transplantation among non-heart beating donors under unsuccessful extracorporeal resuscitation (literature review). Georgian medical news. 2016 May(254):92

2. Inauri N, Kordzaia M, Sikharulidze I, Kakabadze M, Kordzaia D. Modification of the method of corrosion casts for studying of bilio-vascular structures of liver (Brief communication). Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal. 2016;1(1):15-7.....

3. Kordzaia D, Jangavadze M. Unknown bile ductuli accompanying hepatic vein tributaries (experimental study). Georgian medical news. 2014 Sep(234):121-9

4. Kordzaia D, Chanukvadze I, Jangavadze M. Functional Anatomy of Intrahepatic Biliary System (Clinical and Experimental Data). In book: Bile Duct: Functional Anatomy, Disease and Injury Classification and Surgical Management, Nova Science Publishers, Inc, 2014, P. 1-87

5. Chkhaidze Z, Khodeli N, Pilishvili O, Partsakhashvili D, Jangavadze M, Kordzaia D. New Model of Venovenous Bypass for Management of Anhepatic Phase in Experimental Study on Dogs. In Transplantation proceedings 2013 Jun 30 (Vol. 45, No. 5, pp. 1734-1738)

6. Partsakhashvili D, Chkhaidze Z, Khodeli N, Pilishvili O, Jangavadze M, Kordzaia D. Experimental Liver Autotransplantation With Novel Scheme of Venovenous Bypass as a Model of Liver Denervation and Delymphatization. In Transplantation proceedings 2013 Jun 30 (Vol. 45, No. 5, pp. 1739-1742)

7. Azmaiparashvili E, Berishvili E, Kakabadze Z, Pilishvili O, Mikautadze E, Solomonias R, Jangavadze M, Kordzaia D. Ductular reaction at the early terms of common bile duct ligation in the rats. Acta biologica Hungarica. 2012 Sep;63(3):321.

დ. ძიძიგურის ხელმძღვანელობით:

1. Kiparoidze S, Dzidziguri D, Bakuradze E, Modebadze I, Nebieridze G. Hgf signaling pathway and cell polyploidization in cholestatic liver. Journal of Hepatology. 2014;1(60):S207-8

2. Sanikidze TV, Kiparoidze SA, Modebadze IR, Bakuradze ED, Pkhakadze ID, Dzidziguri DV. Role of reactive oxygen and nitrogen species in pathogenesis of cholestasis (Experimental study). In: Health and Bioengineering Conference (EHB), 2015 Nov 19 (pp. 1-4). IEEE

3. Kiparoidze S, Bakuradze E, Modebadze I, Sanikidze T, Dzidziguri D. Comparative study of liver functional characteristics in combined pathologies by the method of electron paramagnetic resonance. *Journal of Clinical and Experimental Hepatology*. 2013 Mar 1;3(1):S121

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აღნიშნულ მეცნიერებს აქვთ ერთობლივი შრომებიც, რაც ადასტურებს მათი ნაყოფიერი თანამშრომლობის შესაძლებლობას:

1. Azmaiparashvili E, Kordzaia D, Dzidziguri D. Biliary hypertension as the cell proliferation trigger in bile duct ligated rats. *Georgian Med News*. 2009 Mar;168:111-6

2. Dzidzuguri DV, Bakuradze ED, Kakhidze IG, Megrelishvili GZ, Kordzaia DD. Regeneration of white rat liver during cholestasis. *Tsitologiya*. 2003 Dec;46(5):411-5

3. Megrelishvili G, Dzidziguri D, Kordzaya D, Bakuradze E. The Influence of Mechanic Jaundice on Liver Regeneration after Partial Hepatectomy. *Annals of Biomedical research and Education*. 2003 Jul;3(3)

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა გულისხმობს თსუ მედიცინის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე არსებული ინტელექტუალური და მატერიალური-ტექნიკური (ლაბორატორიული ბაზების თვალსაზრისით) რესურსის გაერთიანებას - თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი ბიო-სამედიცინო პროფილის ტრანსლაციური კვლევების განვითარებას.

სავარაუდო საკვლევი პრობლემები

1. ღვიძლის დანაწევრება და პორტული ვენის ლიგირება საფეხურებრივი ჰეპატექტომიისათვის (ALPPS): ღვიძლის რეგენერაცია ღეროვანი უჯრედების ინიექციის ფონზე და მის გარეშე.

ALPPS წარმოადგენს პერსპექტიულ მეთოდს, რომელიც ახლა მკვიდრდება კლინიკაში. მეთოდის არსია ღვიძლის დიდი ზომის სიმსივნეების (ან სხვა მოცულობითი პათოლოგიის) დროს, ორგანოს ამ დაზიანებული ნაწილის კარის ვენის ტოტის დახშობით ისე „გაზარდოს“ ღვიძლის ჯანმრთელი ქსოვილი, რომ შემდგომ ეტაპზე, როცა მოხდება აღნიშნული დიდი ზომის პათოლოგიის კერის ამოღება, არ განვითარდეს ორგანოს უკმარისობა (Cavaness KM, 2013; Bertens KA, Hawel 2015). არსებული მონაცემების საფუძველზე სავარაუდოა, რომ კარის ვენის ტოტის დახშობის შედეგად ღვიძლის დაუზიანებელი ნაწილის რეგენერაცია შესაძლებელია მიმდინარეობდეს სხვა სასიგნალო მექანიზმებით, მაგრამ ისეთივე სტრუქტურული გარდაქმნებით, როგორც პარციული ჰეპატექტომიის შემდეგ (Tashiro et al, 2015).

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ღვიძლის მორფოგენეზისას (ონტოგენეზი) ხდება როგორც ღვიძლის წილაკების, ისე უჯრედების პროლიფერაცია. ამას განაპირობებს მორფოგენეზის გენები, რომლებიც, მაგალითად, განსაზღვრავენ WNT-signaling -ს და Hhes-ტრანსკრიპციული ფაქტორის ექსპრესიას. ეს გენები მორფოგენეზის დასასრულისათვის ინაქტიურდება (Si-Tayebet al., 2010). ღვიძლის რეგენერაციის დროს კი, მორფოგენეზული ზრდისაგან განსხვავებით, ხდება უჯრედების გამრავლება წილაკების მომატების გარეშე: ღვიძლის რეგენერაციის შემდეგ აღწერილია არსებული წილაკების გადიდება და დეფორმაცია მათი რაოდენობის მატების გარეშე (Papp V, 2009).

უკანასკნელ პერიოდში მიღებულ იქნა მონაცემები იმის თაობაზე, რომ ALPPS-ის დროს ღვიძლის ინტაქტურ ნაწილში (წილში) ღეროვანი უჯრედების შეყვანა იწვევს ამ წილის

უფრო სწრაფად და მეტად გაზრდას, ვიდრე ეს ხდება მხოლოდ კარის ვენის ემბოლიზაციისა და/ან პარციული (ნაწილობრივი) ჰეპატექტომიის პირობებში (am Esch 2012). ამასთანავე, უკანასკნელი მონაცემებით, ღეროვანი უჯრედებით (პლურიპოტენტული, სტრომული და ენდოთელური) შესაძლებელია ემბრიონული „ღვიძლის კვირტის“ მსგავსი სამგანზომილებიანი ისეთი სტრუქტურის ფორმირება in vitro, რომელსაც გააჩნია in vivo ჰემოციკულაციაში ჩართვის უნარი (Takebe T, et al., 2013). ეს აღმოჩენა, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ბიო-ღვიძლის შექმნისთვის ახალი კვლევების ინიციაციას, იწვევს ALPPS-ის დროს ღვიძლის ინტაქტურ წილში ჰომოლოგიური ღეროვანი უჯრედების შეყვანის შემდგომ ღვიძლის რეგენერაციის მორფოლოგიის გადახედვას: ხომ არ შეიძლება, რომ ღვიძლის დანაწევრება და პორტული ვენის ლიგირება ღეროვანი უჯრედების ინიექციის ფონზე იწვევდეს ღვიძლში „ახალი კვირტების“ წარმოქმნას, ანუ ღვიძლის წილაკების რაოდენობის მატებას - ჰეპატოციტთა ჰიპერტოფიის, პროლიფერაციისა და პოლიპლოიდიზაციის პარალელურად და ეს განაპირობებდეს მოცემული ღვიძლის წილის უფრო ეფექტურ რეგენერაციას.

2. სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის და პარციული ჰეპატექტომიის პირობებში ღვიძლის პოლიპლოიდიზაციის სასიგნალო გზ(ებ)ის იდენტიფიცირება და აღდგენითი ზრდის თავისებურებების შესწავლა დინამიკაში

ღვიძლის რეგენერაცია, როგორც ცნობილია, ჰუმორული ფაქტორების და ავტონომიური ნერვული სისტემის შეთანხმებული მოქმედებით ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ორგანოს სტრუქტურის, ფუნქციისა და რეაქტიულობის რეგულაციაში ნერვული სისტემის მონაწილეობის ნატიფი მექანიზმების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა პათოლოგიის პირობებში. თანამედროვე ეტაპზე ეს პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამეთუ ფართოდ ინერგება ცოცხალი დონორიდან ღვიძლის ნაწილის ტრანსპლანტაცია. აღსანიშნავია, რომ რეგენერაციას განიცდის ორივე - როგორც დონორის ორგანიზმში რეზექციის შემდეგ დარჩენილი, ისე რეციპიენტში გადანერგილი ნაწილი. მათ შორის ძირითად განსხვავებას ქმნის ის, რომ დონორებში არსებული ღვიძლის ნაწილისაგან განსხვავებით, რეციპიენტის ღვიძლის ნაწილს არ გააჩნია ინერვაცია. ამ პრობლემის გამოკვლევა განსაკუთრებით აქტუალურია იმუნური შეუთავსებლობის გამორიცხვის შემთხვევებში, როდესაც ოპერაცია ტარდება იდენტურ ტყუპებში ან ერთი ვირთავის გენერაციაში.

უკანასკნელ წლებში ლიტერატურაში საგრძნობლად გაიზარდა ისეთი შრომების რიცხვი, რომლებიც ეხება ღვიძლის დაავადებებსა და ავტონომიურ ნერვულ სისტემას შორის ურთიერთკავშირის შესწავლას [Hiramoto et al., 2008, Lam et al., 2008, Ikeda, et al. 2009, Partsakhashvili, et al. 2013მიუხედავად ამისა, ღვიძლის რეგენერაციაზე ვეგეტაციური ნერვული სისტემის მოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. მაგალითად, ნაჩვენებია, რომ სუბდიაფრაგმული ვაგოტომია აფერხებს და თრგუნავს დნმ-ის სინთეზის სიჩქარეს ნაწილობრივი ჰეპატექტომიის შემდეგ (Tanaka, et al. 1987). ამავე დროს ნაჩვენებია, რომ ვირთავებში ვაგუსის ღვიძლის ტოტი სტიმულირებს ჰეპატოციტების პროლიფერაციას ღვიძლის რეზექციის შემდეგ და ნაღვლის სადინარის ეპითელიოციტების პროლიფერაციას ნაღვლის საერთო სადინარის ლიგირების დროს (LeSage G, et al 1999). იაპონელი მკვლევარების მიერ ნაჩვენებია, რომ ნაწილობრივი ჰეპატექტომია და ცოთმილი ნერვის ღვიძლის ტოტის ერთდროულად გადაჭრა აფერხებს, მაგრამ არ თრგუნავს დნმ-ის სინთეზს [Tanaka, et al. 1987]. ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა, რომ სუბდიაფრაგმული ვაგოტომია

70საათის მანძილზე აფერხებს ღვიძლის რეგენერაციის პროცესს, რაც HGF-ის კონცენტრაციის შემცირებით აიხსნება. ამავე დროს, უცნობია ეს შეფერხება მხოლოდ პროლიფერაციის ინჰიბიციით არის განპირობებული, თუ ხდება პოლიპლოიდიზაციის დათრგუნვაც (Qemoklidze, et al. 2009).

ღვიძლის რეგენერაცია, რომელიც მკაცრად რეგულირებადი პროცესია (პროლიფერაცია, ჰიპერტროფია და პოლიპლოიდიზაცია) [Guidotti J. E., et al., 2003] იწყება სხვადასხვა ფაქტორების (ციტოკინების, ზრდის ფაქტორების, სტრესული მიტოგენების და მისთ)ექსპრესიის გაძლიერებით. აღნიშნული ფაქტორები MAPკინაზების კასკადურ აქტივაციას ახდენენ. ცნობილი და მიღებულია MAPკინაზების 4 სასიგნალოზა: 1. ERK1/2, 2. JNK1/2/3, 3. p38 და 4. ERK5 [Böhm F, et al.,2010; Kyriakis JM, Avruch J., 2001; 2012].რეგენერაციის მარეგულირებელი ფაქტორებისა და კასკადური გზების ასეთი მრავალფეროვნება მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის ზემოთ აღნიშნული პროცესების ნატიფი მოლეკულური მექანიზმების დადგენაში. დღემდე არ არის ცნობილი ზემოთ აღნიშნული პროცესების (პროლიფერაცია, ჰიპერტროფია და პოლიპლოიდიზაცია) ინიცირება ხდება ერთი და იმავე, თუ განსხვავებული სასიგნალო კასკადით. ცნობილია, რომ ღვიძლის ზოგიერთი პათოლოგიის (მაგ. ქოლესტაზის) დროს, იცვლება სხვადასხვა პლოიდობის უჯრედების პროცენტული გადანაწილება ქსოვილში. ჩვენს მიერ ქოლესტაზური ღვიძლის მოდელზე რეგენერაციის შესწავლისას ნაჩვენებია იქნა, რომ ლიტერატურიდან ცნობილი ზემოთ აღნიშნული ძირითადი სასიგნალო გზებიდან, ERK1/2-ის (Met-რეცეპტორის დონეზე) და JNK-ის კასკადური გზის დათრგუნვა პარენქიმული უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის დაქვეითებას იწვევს, მაგრამ არ ახდენს გავლენას ქოლესტაზური ღვიძლის უჯრედების პოლიპლოიდიზაციაზე. მიღებული შედეგები უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღვიძლის ქსოვილში პოლიპლოიდიზაციის ინიციაცია შეიძლება დამოუკიდებელი სასიგნალო გზით ხორციელდებოდეს და ქსოვილის განახლება ხდებოდეს უჯრედების პროლიფერაციის გარეშე (Kiparoidze, 2014).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუბდიაფრაგმული ვაგოტომიისა და პარციული ჰეპატექტომიის პირობებში ღვიძლის პოლიპლოიდიზაციის სასიგნალო გზ(ებ)ის იდენტიფიცირება და აღდგენითი ზრდის თავისებურებების შესწავლა დინამიკაში, შეიძლება განხილულ იქნას პრაქტიკული იმპლიკაციის მქონე ფუნდამენტურ საკითხად.

3. ღვიძლის მატრიქსში (შემაერთებელქსოვილოვანი ჩონჩხში) პორტო-კავალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირების თავისებურებების გამოკვლევა ფილოგენეზურ ხაზში (თევზები, ფრინველები, ძუძუმწოვარი ცხოველები, ადამიანი) – „ბიოპრინტინგით“ მიღებულ მატრიქსში (სკაფოლდში) ხელოვნური „ბიო-ღვიძლის“ შექმნისა და ტრანსპლანტაციის განვითარების ხელშეწყობისათვის

ადამიანის ღვიძლში აღმოჩენილი პორტო-კავალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირები (Chanukvadze, 1989) ჩვენ აღწერეთ ვირთაგვების ღვიძლშიც (Kordzaia, Jangavadze,2014).ასევე, ვაჩვენეთ რომ პორო-კალური შემაერთებელქსოვილოვანი კავშირები შეიძლება მონაწილეობდეს სხვადასხვა ჰეპატობილიურიპათოლოგიების განვითარებაში (მაგალითად, ქოლანგიტის დროს ღვიძლის ვენების თრომბოზული გართულებების ჩამოყალიბებაში) (Kordzaia et al., 2014).ამასთანავე, ისევე, როგორც ადამიანებში, ვირთაგვებშიც, ამ კავშირებს უნდა ჰქონდეთ სტანდარტული ტოპოგრაფია. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ასეთი კავშირები უნდა არსებობდეს ფილოგენეზური რიგის ყველა იმ ცხოველში, რომელთა ღვიძლიც მომარაგებულია პორტული და კავალური ცირკულაციის

სისტემებით; მეტიც, ვვარაუდობთ, რომ ამ კავშირების აღმოჩენა შესაძლებელია რადიოლოგიური (MRI) გამოკვლევებითაც.

კვლევის მიზანია ფილოგენეზურ ხაზში (თევზები, ფრინველები, ძუძუმწოვარ ცხოველები, ადამიანი) პორტო-კავალური შემაერთებელქოვილოვანი კავშირების, როგორც ანატომიური წარმონაქმნების მუდმივობის და, შესაბამისად, ანატომიურ ნომეკლატურაში ასახვის მიზანშეწონილობის დასაბუთება. კვლევის მონაცემების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ბიოპრინტივით მაქსიმალურად ადეკვატური ღვიძლის ხელოვნური მატრიქსის (საკაფოლდის) და „ხელოვნური ბიო-ღვიძლის“ შექმნას (Vaidya, 2015; Gong, 2014).

ბ. პროგრამის განხორციელების შედეგი:

ა) ცოდნა და გაცნობიერება - დოქტორანტი ფლობს ფუნდამენტურ და ტრანსლაციურ ჰეპატოლოგიაში მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც, თავის მხრივ, ამ ცოდნის შემდგომი გაფართოებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარების საშუალებას მისცემს (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). დოქტორანტს შეუძლია არსებული ცოდნის ხელახალი გააზრება, ნაწილობრივი გადაფასება და ამის საფუძველზე ცოდნის განახლებული ფარგლების (მათ შორის, საკუთარი კვლევის შედეგების გათვალისწინებით) გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - დოქტორანტს შეუძლია ბიო-სამედიცინო პროფილის ტრანსლაციური ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი - თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რაც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დოქტორანტი ფლობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, მათ შორის ცოდნის გადაცემის (სწავლების) უნარს;

გ) დასკვნის უნარი - დოქტორანტს აქვს ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით; შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება (დასკვნის გამოტანა), რითაც მოახდენს ახალი მეთოდების შემუშავება/განვითარების ხელშეწყობას; დოქტორანტი ფლობს პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენის უნარს;

დ) კომუნიკაციის უნარი - დოქტორანტს შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატური პოლემიკის წარმართვა. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;

ე) სწავლის უნარი - დოქტორანტს აქვს მზაობა სწავლისა და კვლევის პროცესის განვითარებისათვის გამოიყენოს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეები ან პროცესები. ამასთანავე, შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ცოდნისა და უნარების შემდგომი სრულყოფისათვის საჭირო რესურსები და საშუალებები; შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს, განხორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს ინოვაციურ კვლევას. თავად შეიმუშავებს კვლევის უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს.

ვ) ღირებულებები - დოქტორანტს აქვს ეთიკურ ღირებულებათა სისტემა და მასზე დაფუძნებით ინოვაციური ძიებებისათვის მზაობა; შეუძლია არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სოციალურად და ეთიკურად მისაღები სამეცნიერო მოსაზრებები.

გ. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

აკადემიური (საუნივერსიტეტო) სივრცეში სამედიცინო და ბიოლოგიური პროფილის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხებიან: „დიპლომირებული მედიკოსის“ და/ან „ბიოლოგ-გენეტიკოსის, პროფილაქტიკური მედიცინის ექიმის“ დიპლომის მქონე პირები (მაგისტრთან გათანაბრებული). პროგრამაზე ჩაირიცხვისათვის აუცილებელია უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) ცოდნა B2 დონეზე.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს :

1. აკადემიური წერა (5 კრედიტი)
2. სამეცნიერო კვლევების ბიოეთიკა (ლაბორატორიულ ცხოველებზე ზრუნვა და ექსპერიმენტების ჩატარება) (5 კრედიტი)
3. ბიოსტატისტიკა (ტრანსლაციური ბიო-სამედიცინო კვლევებისათვის) (5 კრედიტი)
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და კვლევის თანამედროვე მეთოდები(5 კრედიტი);
5. პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო) (5კრედიტი)
6. ორი სემინარი (კვლევის მიმართულების მიხედვით) (თითოეული 10 კრედიტი, სულ 20 კრედიტი);

შენიშვნა: 1-ელი, მე-2 და მე-3 შეთავაზებული იქნება I სემესტრში; მათი გავლა წარმოადგენს დაშვების წინაპირობას მე-4-ისათვის, რომელიც შეთავაზებული იქნება II სემესტრში.

აკადემიური კურსებისათვის - „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და კვლევის თანამედროვე მეთოდები“, „აკადემიური წერა“, „სამეცნიერო კვლევების ბიოეთიკა (ლაბორატორიულ ცხოველებზე ზრუნვა და ექსპერიმენტების ჩატარება)“ და „ბიოსტატისტიკა (ტრანსლაციური ბიო-სამედიცინო კვლევებისათვის)“ - მომზადდა ახალი სილაბუსები ექსპერიმენტული და ტრანსლაციური კვლევების სპეციფიკის გათვალისწინებით (დაავადებების ცხოველური და უჯრედული მოდელების შექმნა და გამოყენება, კლინიკური კვლევებისთვის საჭირო ექსპერიმენტული მონაცემების მიღება და მათი სამედიცინო სტატისტიკური ანალიზი, ეთიკური პრობლემები, ცხოველებთან მოპყრობა, მათი შედარებით მცირე რაოდენობის გათვალისწინება საკვლევ და საკონტროლო ჯგუფებში, კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება და სამედიცინო პრობლემებზე დაფუძნებული ექსპერიმენტული კვლევების დაგეგმვა და სხვა). (სილაბუსები თან ერთვის).

სემინარები ტარდება თსუ „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის“ მოთხოვნათა შესაბამისად (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2011, 16 მარტი 2011 [ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს №54/2013, 25.03.2013; №45/2014, 19.05.2014; №124/2016, 31.10.2016; №18/2017, 20.02.2017 დადგენილებებით])

სემინარის 5 კრედიტი - 125 სთ - ნაწილდება შემდეგნაირად:
დასამუშავებელი მასალის (სამეცნიერო ნაშრომის) მოძიება-შერჩევა - 30
მასალის დამუშავება - 60
პრეზენტაციის მომზადება - 30
სემინარში მონაწილეობა - 5

სემინარის შეფასების კრიტერიუმები
თემის აქტუალობა - 20 ქულა
სტატიის შერჩევის კრიტერიუმები - 20 ქულა
მეთოდების/შედეგების კრიტიკული ანალიზი - 30 ქულა
ნაშრომის პრეზენტაცია - 30 ქულა

შენიშვნა: 1-ელი სემინარი ჩატარდება I სემესტრში; მე-2 სემინარი - IV სემესტრში.
პროფესორის ასისტენტობის 5 კრედიტის საათების (გამოითვლება თსუ „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის“ მოთხოვნათა შესაბამისად) „დაგროვება“ დოქტორანტს შეუძლია II-V სემესტრების განმავლობაში.

კვლევითი კომპონენტი:
დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს 2 კოლოკვიუმის მომზადებას (თითოეული 20 კრედიტი, სულ 40 კრედიტი) და სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული კვლევების ჩატარებას (50 კრედიტი) სამი სტატიის დაწერას (30 კრედიტი) და სადისერტაციო ნაშრომის გაფორმებას (25 კრედიტი).

კოლოკვიუმი ტარდება თსუ „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის“ მოთხოვნათა შესაბამისად (თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №25/2011, 16 მარტი 2011 [ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს №54/2013, 25.03.2013; №45/2014, 19.05.2014; №124/2016, 31.10.2016; №18/2017, 20.02.2017 დადგენილებებით])

კოლოკვიუმების შეფასების სისტემა და შემადგენელი კომპონენტები

I კოლოკვიუმი
დოქტორანტის (დაგეგმილი) კვლევის

- აქტუალობა - 10 ქ
- კვლევის ჰიპოთეზა - 30 ქ
- მიზნის/ამოცანების ფორმულირება 30 ქ
- პრეზენტაცია - 30 ქ

შენიშვნა:

I კოლოკვიუმი ტარდება II სემესტრში

II კოლოკვიუმი
სადისერტაციო ნაშრომის

- ბიოეთიკური ასპექტები - 10 ქ
- კვლევის დიზაინი - 30 ქ
- კვლევის შედეგები - 30 ქ
- პრეზენტაცია - 30 ქ

შენიშვნა:

II კოლოქვიუმი ტარდება V სემესტრში

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გავლით (ლექციებით და პრაქტიკული მეცადინეობებით), ასევე სემინარებით, ლაბორატორიაში ერთობლივი მუშაობით, პუბლიკაციისათვის ნაშრომების ერთობლივად მომზადებით, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობით (მისი გამოცდილების გაზიარებით - საერთაშორისო ფორუმებზე) და სასწავლო კურსებში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

სტუდენტი სცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით:

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
 - ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
- „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი:

პროფესორი დიმიტრი კორძაია, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: dimitri.kordzaia@tsu.ge

ფატი ძოწენიძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი

E-mail: Pati.dzotsenidze@tsu.ge

სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Public Health)

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა იმნაძე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS

სწავლების ენა: ქართული

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი: წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს, დოქტორანტს:

- მისცეს ღრმა თანამედროვე ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სფეროში. (კვლევის თემატიკის შესაბამისად დოქტორანტებს მიეცემათ საშუალება გაიღრმავონ ცოდნა შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკა, პრიორიტეტები, ჰოსპიტალური მენეჯმენტი, მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებების შეფასება, გადამდები და არაგადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგიური კვლევები, ინფექციური დაავადებების შემთხვევების იმუნო-ეპიდემიოლოგიური კვლევა, იმუნოზირებული პირების ჰუმორული და უჯრედული იმუნური პასუხების შედარებითი დახასიათება და სხვ.)

- ჩამოუყალიბოს დოქტორანტს ლიტერატურული მონაცემებისა და საკუთარი კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი ფაქტებზე დამყარებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით;

- გამოიუმუშავოს სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმოების, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის უნარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეცნიერებისა და პრაქტიკის წინაშე დასმული მიზნების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია კვლევების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით სამედიცინო დახმარების სწორი ორგანიზაცია და სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის, მაღალი ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფა.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი, ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი. უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე.

პროგრამის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება- საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი-ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.

დასკვნის უნარი- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომის კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/ განვითარების ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება;

კომუნიკაციის უნარი- საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე;

სწავლის უნარი- უახლესი მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის კვლევის პროცესში;

ღირებულებები-ეთიკურ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდებს შემუშავება.

პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს:

- ექნება ღრმა, ფუნდამენტური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის სფეროში (არჩეული მიმართულების შესაბამისად);
- შეეძლება დამოუკიდებლად დაგეგმოს და აწარმოოს სამეცნიერო კვლევები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
- შეეძლება შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ახალ, უცნობ გარემოში გადაჭრას როგორც მისთვის ძირითადი, ასევე მომიჯნავე დარგის პრობლემები;
- ექნება უნარი არასრული და შეზღუდული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს სოციალურად და ეთიკურად მისაღები მოსაზრებები;
- შეეძლება წარმართოს სწავლის პროცესი;
- განსაზღვროს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულყოფისათვის საჭირო რესურსები საშუალებები.

სასწავლო კომპონენტი : პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს. სასწავლო კურსი სტატუსი / კრედიტები
სავალდებულო ბლოკი

1. სწავლების თანამედროვე მეთოდები სავალდებულო 5 კრედიტი
 2. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სავალდებულო 5 კრედიტი
 3. პროფესორის ასისტენტობა სავალდებულო 5 კრედიტი (მინიმალური რაოდენობა)
 4. სემინარი (კვლევის მიმართულების მიხედვით) სავალდებულო 10 კრედიტი
 5. აკადემიური წერა ბიომედიცინაში (სავალდებულოა მხოლოდ იმ დოქტორანტებისათვის, რომლებსაც სწავლების წინა საფეხურზე მოცემული კურსი არ აქვთ გავლილი) 5 კრედიტი
- არჩევითი ბლოკი
- სემინარი (კვლევის მიმართულების მიხედვით) არჩევითი 10 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა არჩევითი 5 კრედიტი
- არჩევითი კურსების აღება დოქტორანტს შეუძლია დოქტორანტურის საფეხურისათვის შემოთავაზებული საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდანაც, მათ შორის მაგალითად მეცნიერების მენეჯმენტი არჩევითი 5 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი: დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს 2 კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის, სულ 40 კრედიტი) და სადისერტაციო ნაშრომს (80 კრედიტი). კვლევითი კომპონენტი განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა ან ეპიდემიოლოგიის მიმართულებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

სტუდენტის კომპეტენტურობის დონე ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის დონით შემდეგი სისტემის მიხედვით: A „ფრიადი“ (91-100), B „ძალიან კარგი“ (81-90), C „კარგი“ (71-80), D „დამაკმაყოფილებელი“ (61-70), E „საკმარისი“ (51-60), FX „ვერ ჩააბარა“ (41-50), F „ჩაიჭრა“ (0-40).

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

კურსდამათავრებულთა დასაქმების სფეროები: სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის სფეროები: (კურსდამათავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ დასაქმდნენ სახელმწიფო ან კერძო სექტორში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე

ფოკუსირებულ არასამთავრობო ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, კვლევით ორგანიზაციებში, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში).

საკონტაქტო პირი:

პროფესორი პაატა იმნაძე, პროგრამის ხელმძღვანელი

E-mail: paata.imnadze@tsu.ge

ფატი ძოწენიძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი

E-mail: Pati.dzotsenidze@tsu.ge